NATO–ს, ეთიკური საფუძვლების
განმტკიცების ინიციატივა, თავდაცვის
ორგანიზაციებში კორუფციის შესამცირებლად

ეთიკური საფუძვლების განმტკიცების თვითშეფასების პროცესი

დიაგნოსტიკური საშუალება
თავდაცვის ორგანიზაციებისათვის

NATO
OTAN

DCAF

NATO-ს, ეთიკური საფუძვლების განმტკიცების ინიციატივა, თავდაცვის ორგანიზაციებში კორუფციის შესამცირებლად

ეთიკური საფუძვლების განმტკიცების თვითშეფასების პროცესი

დიაგნოსტიკური საშუალება თავდაცვის ორგანიზაციებისათვის

2009 წლის ვერსია

სარჩევი

შესავალი **5**
წინასიტყვაობა 5
ბრიფინგი 6
განმარტებები **8**
მთლიანობა/ეთიკური საფუძვლები 8
კორუფცია 8
ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების განხორციელება **10**
პროცესი 10
მომდევნო ღონისძიებები – ოპტიმიზაციის პროცესის ინიცირება 11
კითხვარი **13**
1. დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა 13
2. ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა და პოლიტიკა 14
3. ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და უშიშროების სფეროში 14
4. პირადი შემადგენლობა – ქცევა, პოლიტიკა, მომზადება, დისციპლინა 16
5. დაგეგმვა და ბიუჯეტირება 18
6. ოპერაციები 19
7. შესყიდვები 20
8. ურთიერთობა თავდაცვის საწარმოებსა და სხვა მიმწოდებლებთან 23
9. ეროვნულ თავისებურებათა საკითხები 23
დამატებითი ინფორმაცია **24**

შესავალი

წინასიტყვაობა

ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების პროცესი წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ჩამოყალიბდა თავდაცვის ორგანიზაციული განვითარების NATO-ს პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში (PAP-DIP). იგი მიზნად ისახავს, პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოუჩინოს სახელმწიფოებს, თავდაცვის რეფორმირების განხორციელებაში, ისევე როგორც დაეხმაროს მათ NATO-ს წინაშე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში.

პროცესი შედგება ორი ნაწილისაგან: კითხვარისაგან, რომელიც უნდა შეივსოს კონკრეტული სახელმწიფოს (შესაბამისი უწყებების) მიერ და ადგილზე, NATO-ს ექსპერტთა ჯგუფის საკონტროლო ვიზიტისაგან. ექსპერტთა აღნიშნულიჯგუფი, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ხვდება სახელმწიფოს წარმომადგენლებს, რათა განიხილონ შევსებული კითხვარის პასუხები. კითხვარში მთავარი აქცენტი კეთდება უფრო პრაქტიკულ საქმიანობაზე, ვიდრე კანონმდებლობაზე. NATO-ს ექსპერტთა ჯგუფი, სახელმწიფოს წარმომადგენლებს გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას და მათთან ერთად განიხილავს ეთიკური საფუძვლების განმტკიცებისა და კორუფციის რისკის შემცირების შესაძლებლობებს. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს, NATO-ს საერთაშორისო სამდივნო და შედგება სამი ან ოთხი პირისაგან,რომელთა შორის არის ასევე, კონკრეტული სახელმწიფოს წარმომადგენელი და ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ან სხვა რომელიმეკვალიფიციური ორგანიზაციის წევრი.

კითხვარი შემუშავებულ იქნა, სახელმწიფოებსა და მათ ექსპერტებთან რამდენიმე ეტაპად გამართული დისკუსიის შედეგად, რასაც მოჰყვა საგამოცდო შემოწმება სამ სახელმწიფოში. ეს შემოწმება ჩატარდა 2008 წელს ბოსნია-ჰერცოგოვინაში, უკრაინასა და ნორვეგიაში. მიღებული შედეგები საკმაოდ პოზიტიური აღმოჩნდა, ამასთანავე სამივე სახელმწიფომძლიერი მხარდაჭერა გამოხატაეთიკური საფუძვლების განმტკიცების თვითშეფასების პროცესის მიმართ, მათ შორის არსებული განსხვავებებისმიუხედავად. ამ შემოწმებამ, გამოიწვია პროცესის გადახედვა, რომლის შედეგადაც შემცირდა კითხვარის მოცულობა და დაიხვეწა ექსპერტთა ვიზიტისა და მოხსენებების ფორმატი. მოხსენება რომელიც ასახავს ზემოაღნიშნული შემოწმების შედეგებს ხელმისაწვდომია ცალკე.

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს კითხვარს, ქვეყნის შიგნით პროცესის ორგანიზების მითითებებს, ბრიფინგის ნიმუშს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას თავდაცვის მინისტრის ან შეიარაღებული ძალების მეთაურისათვის პროცესის გასაცნობად და NATO-ს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფორმატის აღწერისათვის. MS WORD–ის პროგრამაში შესრულებულიცალკე დოკუმენტი ხელმისაწვდომიაკითხვარის შედეგების დოკუმენტირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური საფუძვლების განმტკიცების თვითშეფასების პროცესი განკუთვნილია ძირითადად თავდაცვის სექტორისათვის, სახელმწიფოს მისი გამოყენება შეუძლია უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე სხვა სამინი-სტროებისა და უწყებების მიმართ.

ეთიკური საფუძვლების განმტკიცებისთვითშეფასების პროცესის შემუშავება, განხორციელდა დროებითი ჯგუფის მიერ პოლონეთის ხელმძღვანელობითა და შემდეგი ქვეყნების მონაწილეობით: ნორვეგია, უკრაინა, საქართველო, ბოსნია-

ჰერცოგოვინა, ხორვატია, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია [1] და დიდი ბრიტანეთი, ასევე ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (დიდი ბრიტანეთი), NATO-ს საერთაშორისო სამდივნოსა და ობერამერგაუს (გერმანია) NATO-ს სკოლის მონაწილეობით. პროექტის ტექსტი შეთანხმდა აგრეთვე NC3, UNODC, OECD და DRMI (მონტერეი) – თან.

ბრიფინგი

განკუთვნილი: თავდაცვის მინისტრის, გაერთიანებული შტაბის უფროსის ან შესაბამისი რანგის სხვა პირებისათვის

ეთიკური საფუძვლების განმტკიცებადა კორუფციული რისკის შემცირება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ძლიერი, ეფექტური და ეკონომიური თავდაცვისა და უშიშროების სტრუქტურებისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის.

კორუფცია ზიანს აყენებს ნებისმიერი სახელმწიფოს როგორც თავდაცვის, ასევე უშიშროების შესაძლებლობებს. კორუფცია იწვევს ფულადი სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას, რესურსების არასათანადო განაწილებასა და გამოუსადეგარი ან უხარისხო აღჭურვილობის შეძენას. რამაც, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პირადი შემადგენლობის სიცოცხლეს და შეამციროს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ეფექტურობა. კორუმპირებული პერსონალის ნდობა შეუძლებელია. კორუფციაში შემჩნეულ პირებს სავსებით შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ იარაღით უკანონოდ მოვაჭრეებთან, ორგანიზებულ კრიმინალთან, ტერორისტულ ორგანიზაციებსა და/ან ქვეყნის პოტენციურ მტრებთან.

კორუფცია თავდაცვის სექტორში ამცირებს ხალხის ნდობასა და კეთილგანწყობას ამ სტრუქტურის და ზოგადად სამხედროთა მიმართ, რითაც შეიძლება საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოაკლდეს სამშვიდობო ოპერაციების მსვლელობა – ჩატარებასიგი, ასევე ამცირებს რესურსებს ეკონომიკისსამოქალაქო სექტორისათვის და მავნე ზეგავლენას ახდენს სხვა სამთავრობო სტრუქტურებზე. კორუფცია მნიშვნელოვნად ანელებს სახელმწიფოს ზრდასა და განვითარებას.

თავდაცვის ორგანიზაციული განვითარების NATO-ს პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა პრაქტიკული საშუალებების შემუშავებისათვის, რათა ეთიკური საფუძვლების განმტკიცებისა და კორუფციული რისკის შემცირების საქმეში, შესაბამისი დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფოებს. სამუშაო პროცესის თავდაპირველი ძალისხმევა ორიენტირებულია ქვემოთმოცემული ასპექტების განვითარებაზე:

- თავდაცვის სფეროში ეთიკური საფუძვლების განმტკიცებისა და კორუფციული რისკის შემცირების საუკეთესო გამოცდილებათა გათვალისწინებით,მოკლე სახელმძღვანელოს ჩამოყალიბება;
- სასწავლო პროგრამის შემუშავება (ტრეინინგ მოდული) ეთიკური საფუძვლების განმტკიცებისა და კორუფციული რისკის შემცირების შესახებ;
- ეთიკური საფუძვლების განმტკიცების თვითშეფასების პროცესი.

თავდაცვის სისტემის სიძლიერისა თუ სისუსტის თვითშეფასება, თავდაცვის სფეროში ეთიკური საფუძვლების განმტკიცების ერთ ერთ საფუძველს წარმოა-

[1] თურქეთი მოიხსენიებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით.

დგენს. წინამდებარე კითხვარი, ეს არისდიაგნოსტიკური საშუალება, რათა დახმარება აღმოუჩინოს ასეთი შეფასების განხორციელების მსურველებს.

ქმედითი ანტი-კორუფციული პროცესები, წარმოადგენს აგრეთვე სამართლებრივ მოთხოვნას NATO-ს მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნებისათვის, რომელთაც მოახდინეს გაერთიანებული ერების ანტიკორუფციული კონვენციის (UNCAC, 2003 წ. 31 ოქტომბერი) რატიფიცირება. ეს კონვენცია მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფოთა ვალდებულებებს. თავდაცვის ორგანიზაციებს შეუძლიათ, ამ დოკუმენტის გამოყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამინისტროდა შეიარაღებული ძალების სახეობები შესაბამისობაში იყოს აღნიშნულ კონვენციასთან.

კითხვარის შევსება ნებაყოფლობითია. საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის დამკვიდრებულ პროცედურათა თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მათ მიერ შევსებული დოკუმენტის თითოეულ გვერდზე დაიტანონ საიდუმლოების აღმნიშვნელი შესაბამისი გრიფი.

თვითშეფასების პროცესი წარმოედგენს საშუალებას, რომელიც ვთვლით, რომ სასარგებლო იქნება ნებისმიერი თავდაცვის დაწესებულებისათვის.

განმარტებები

მთლიანობა/ეთიკური საფუძვლები

(ინგლისურ ენაში სიტყვას *integrity* მრავალი განმარტება გააჩნია, წინამდებარე ტექსტში იგი, ითარგმნება როგორც ეთიკური საფუძვლები, თუმცა ამ კონკრეტულ ქვეთავში მიზანშეწონილია,აგრეთვე მისი ერთ ერთი მნიშვნელობის „მთლიანობის“ გამოყენებაც).

მთლიანობას გააჩნია როგორც ტექნიკური, ასევე მორალური მნიშვნელობა.

- ტექნიკურიმნიშვნელობით,ჩვენ ვამბობთ რომ „გემის კორპუსის მთლიანობა დაცულია,“ რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი სისტემა მუშაობს სათანადოდ – გემის ზედაპირი არ ჟონავს და ყველა სხვადასხვა სისტემა, რომელიც შეადგენს და ეხმარება კორპუსს,გამართულად მუშაობსდა გამძლეა.
- მორალურ – ზნეობრივი თვალსაზრისით, მთლიანობა ნიშნავს, რომ სამუშაო შესრულდა პატიოსნად, გულდასმით და კორუფციის გარეშე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, როდესაც მოხსენიებულია „ეთიკური საფუძვლები,“ იგულისხმება შემდეგი:

- *პიროვნებას გააჩნია ეთიკური საფუძვლებითუ* იგი ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს კომპეტენტურად, პატიოსნად და სრულყოფილად.
- *პროცესს გააჩნია ეთიკური საფუძვლებითუ* იგი მუშაობს ისე, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვლილი და შესაფერისად არის მორგებული მსხვილ სისტემაზე, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს თავად.
- *ორგანიზაციას გააჩნია ეთიკური საფუძვლები,* თუ მის მიერ წარმოებული საქმიანობა, შესრულებულია გარკვეული ანგარიშვალდებულებისა და კომპეტენტურობის ფარგლებში და საბოლოო შედეგის ან რესურსების კორუფციული ან არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის მოხმარების გარეშე.

კორუფცია

კორუფცია არის „თანამდებობის ბოროტად გამოყენება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით.“

სახელმწიფოებს ხშირად გააჩნიათ კორუფციის სამართლებრივად განსაზღვრული განმარტება. მაგალითად უკრაინის კანონმდებლობა კორუფციას განმარტავს შემდეგნაირად: „უკანონო ქმედება ან უმოქმედობა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ფუნქციების შესრულებისას, მიმართული ნებისმიერი უპირატესობის, სარგებლის, გავლენის, მატერიალური და არამატერიალური სიკეთის უკანონოდ მოსაპოვებლად თავისთვის, მესამე მხარის ან ჯგუფისათვის.“ პაკისტანში კორუფციის ცნება ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „კორუფცია ითვალისწინებს საჯარო ან კერძო სექტორში დასაქმებულ თანამდებობის პირთა ქცევას, მიმართულს საკუთარი ან მათ ახლობელ პირთა არკეთილსინდისიერად და უკანონოდ გამდიდრებისაკენ, ან სხვათა იძულებისაკენ ასეთი ქმედების ჩასადენად, საკუთარი თანამდებობის არამართებულად გამოყენებით. (პაკისტანის მთავრობა 2002 წელი).

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის მრავალგვარი განმარტება არსებობს, გამოცდილებით დასტურდება, რომ ხალხის უმეტესობამ კარგად იცის თუ რა არის კორუფცია, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მისი ოფიციალური

განმარტება. მაგალითად,გაერთიანებული ერების ანტიკორუფციულ კონვენციაში (UNCAC), რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს, არ არის მოცემული კორუფციის განმარტება; ამის ნაცვლად, იგი იძლევა ამომწურავ განსაზღვრებას თუ რას წარმოადგენს საჯარო მოხელე.

უფრო მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თავდაცვის სფეროში არსებობს კორუფციის სხვადასხვა სახე. რისკების მართვასთან დაკავშირებული ზომები ეფექტურად ჩაითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად იქნება გაგებული პრობლემის ცალკეული ასპექტი, რომელსაც უნდა მიმართონ. წინამდებარე კითხვარი ხელს უწყობს ყოველივე ზემოთქმულის გაადვილებას.

ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების განხორციელება

პროცესი

1. *მაღალი დონის მანდატის მოპოვება შეფასებისათვის.* მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის მხარდაჭერა თვითშეფასების პროცესში. თანამდებობის პირმა, რომლიც ხელმძღვანელობს ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების პროცესს უნდა განსაზღვროს მანდატი ექსპერტიზის ჩატარებისათვის და შეათანხმოს იგი, თავდაცვის მინისტრსა და შეიარაღებული ძალების მეთაურთან. მაღალი თანამდებობის მქონე ხელმძღვანელი პირი დანიშნული იქნება შეფასების პროცესის ოფიციალურ ინიციატორად.

2. *კონკრეტული პასუხისმგებელი პირის დანიშვნა თვითშეფასებისათვის.* ერთი პირი უნდა იყოს პასუხისმგებელი კითხვარზე, ექსპერტთა ვიზიტსა და მომდევნო ღონისძიებათა გეგმაზე.

3. *სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება* სამინისტროს მასშტაბით. არ არის აუცილებელი ეს ჯგუფი მუშაობდეს სრული სამუშაო დროით, მაგრამ ადამიანური რესურსები, ფინანსები, აღჭურვილობა და ვადები წინასწარ უნდა განისაზღვროს და შეთანხმდეს. სამუშაო ჯგუფი ავსებს კითხვარს დაშემდგომ იკრიბება, რათა განიხილონ NATO–ს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ მოხსენება.

4. *კითხვარის შევსება.* სახელმწიფოს არჩევანია, თუ როგორ ფართოდ მოახდენს შესავსები კითხვარის ტირაჟირებას. მაგალითად, მას შეუძლია ცალკეული თავების გამოყოფა და დაგზავნა შესაბამისი დეპარტამენტებისა და/ან სამინისტროებისათვის; ან შეუძლია მთლიანი კითხვარის დაგზავნა, რათა ერთი და იგივე კითხვებზე მიიღოს სხვადასხვა კომენტარი. მას, ასევე სურვილის შემთხვევაში, შეუძლია კითხვარის მიწოდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან შესაბამისი სამეცნიერო წრეებისადმი, იმ მიზნით რათა მიიღოს განსხვავებული ხედვა. შევსებული კითხვარის NATO – სთვის გადაგზავნა უნდა მოხდეს ექსპერტთა ვიზიტამდე სულ მცირე, ორი კვირით ადრე. სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან შევსებულ დოკუმენტს მიანიჭონ საიდუმლოების აღმნიშვნელი შესაბამისი გრიფი. NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი არ ახდენს დოკუმენტის გაზიარებას მესამე მხარისათვის.

5. *NATO-ს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება.* ვიზიტი როგორც წესი, მიმდინარეობს 2-3 დღის მანძილზე და მოიცავს ინტენსიურ შეხვედრებს. შეხვედრის მონაწილეები (ინტერვიუერები) შედარებით მაღალი რანგის პირები უნდა იყვნენ, რომელთაც შეეძლებათ დისკუსიის მსვლელობისას, კითხვარის საკითხებზე კომპეტენტური მსჯელობა. შეხვედრის მონაწილეები უნდა იყვნენ ვიცე პოლკოვნიკის ან პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, დიდი ქვეყნის შემთხვევაში – პოლკოვნიკიდან ბრიგადის გენერლამდე წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები. ინტერვიუერები უნდა იყვნენ როგორც სამოქალაქო მაღალჩინოსნები, ასევე მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები. რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფომ ინტერვიუჩაატაროს სხვა ჯგუფებისათვისაც, მაგ. პარლამენტარებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლების, ან აკადემიური პერსონალისათვის. თუკი ისინი გამართავენ ცალკე

გაფართოებულ შეხვედრას, ეს უკანასკნელი, ეფექტური საშუალება იქნება ბრიფინგისათვის. (იხილეთ უკრაინის მაგალითი ქვემოთ მოცემულ გრაფაში).

6. *დოკუმენტის განხილვის ჩატარება უმაღლეს დონეზე.* სამუშაო ჯგუფის მიერ დასრულებული მოხსენება წარედგენილი და განხილული იქნება მაღალჩინოსნებთან. მათი დასკვნები გადაეცემა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ საბჭოს, შეიარაღებული ძალების უმაღლეს კომიტეტს და მინისტრს. მოთხოვნისამებრ, NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს ამ განხილვასა და შედეგების შეჯამებაში.

7. *პროცესის დასრულება.* მოხსენების შედეგების შეჯამების შედეგად, ჩამოყალიბდესოპტიმიზაციის გეგმა და განხორციელდეს შესაბამისი ცვლი-ლებები. ეს ასპექტები შესაძლოა ასახულ იქნას ინდივიდუალური პარტნიო-რობის სამოქმედო გეგმასა (IPAP)[2] და პარტნიორობის დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP).

8. *პროცესის განმეორება.* როგორც რეგულარული ციკლის ნაწილი, ითვალისწინებს NATO–სა და მის პარტნიორებთან შემუშავებულ სხვა მექანიზმებსაც. ასეთ ციკლს შეიძლება ადგილი ჰქონდეს წლიურ ან ორწლიან საფუძველზე.

მომდევნო ღონისძიებები – ოპტიმიზაციის პროცესის ინიცირება

რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფოებმა მოახდინონ NATO–ს რესურსებისა და პარტნიორობის საშუალებების სრულად გამოყენება, რათა ამ პროცესის ფარგლებში, მოახდინონ მომდევნო ღონისძიებებისშემუშავება. სახელმწიფოებს ასევე ეძლევათ რეკომენდაცია, რომ გამოიყენონ საკუთარი ქვეყნის შიგნით არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამოცდილება. ასეთი მიდგომა, ხელს შეუწყობს ამ პროცესის შედეგების განმტკიცებასა და საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებას.

NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი: ანგარიშვიზიტის შესახებ

NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი, მასპინძელი ქვეყნისათვის მოამზადებს მოკლე მოხსენებას, ვიზიტის შედეგების შესახებ. ჩვეულებრივ ეს მოხსენება შედგება 3-5 გვერდისაგან და მოიცავს შემდეგ სამ სფეროს: 1) დაკვირვებებს ქვეყნის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე; 2) დაკვირვებებს თავდაცვის ინტეგრაციის სისტემის სუსტ მხარეებზე და 3) მოსაზრებებს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გათვალისწინების სურვილიც შესაძლოა ჰქონდეს მასპინძელ ქვეყანას, პროცესის სუსტი მხარეების გაძლიერებისათვის. NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებს როგორც საკონსულტაციო ორგანო, თავდაცის სამინისტროს დასახმარებლად, მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში.

[2] ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), 2008 წლიდან ჩაანაცვლა ყოველწლიურმაეროვნულმა გეგმამ (ANP), სადაც ასახული იქნა, როგორც IPAP-ით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე ახალი მიმართულებები.

სასარგებლო გამოცდილება I უკრაინა – ღია შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის წარმომადგენლებთან

2008 წ. ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების პროცესის საგამოცდო შემოწმების მსვლელობისას, უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის ნაციონალურმა საბჭომ მოაწყო შეხვედრა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვათა მხრიდან მოსაზრებების მოსაპოვებლად და უკრაინაში ვიზიტად მყოფი NATO-ს ექსპერტთა ჯგუფის ინფორმირებისათვის.

ამ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია, დაწყებული ჟურნალისტებიდან, ანტი-კორუფციული საინიციატივო ჯგუფით დამთავრებული, რამაც, NATO-ს ექსპერტთა ჯგუფს, მისცა შესაძლებლობა ადგილობრივი და არასამთავრობო პერსპექტივიდან გაცნობოდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, პრობლემებსა და სამომავლო შესაძლებლობებს.

შეხვედრამ აჩვენა გახსნილობა, გამჭვირვალობა და პოლიტიკოსებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან და სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებთან გამართული ოფიციალური სხდომის, მეტად სასრგებლო,შემავსებელ საშუალებად წარმოჩინდა. არასამთავრობო ორგანიზაციათა გულახდილი მოსაზრებები უაღრესად დამხმარე აღმოჩნდა წარმოდგენილი პრეზენტაციებისა და მოხსენებების დაბალანსებისა და შევსებისათვის.

სასარგებლო გამოცდილება II ნორვეგია – სახელმძღვანელო

2008 წ. ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების პროცესის საგამოცდო შემოწმებამ ნორვეგიაში, გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკის რამდენიმე სფერო, საჩივრების განხილვის კომისიის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის განვითარების პროცესისა და თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული თავდაცვის სექტორთან დაკავშირებული საქმიანი კონტაქტების ეთიკური ნორმების შესახებ სახე-ლმძღვანელოს ჩათვლით.

კითხვარი

I. დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა

1. აღწერეთ პარლამენტის როლი, თავდაცვის უწყებაზე კონტროლისგანხორციელებაში, თავდაცვის კომიტეტის ფუნქციების, დაზვერვის სამსახურებისზედამხედველობისა და შემოწმების და ასევე თავდაცვის სამინისტროში ხელმძღვანელ თანმდებობებზე დანიშვნის ჩათვლით.

   განსახილველისფეროები:

   - პარლამენტის უფლებამოსილება თავდაცვის პოლიტიკასა და მაღალი დონის გადაწყვეტილებებზე;
   - თავდაცვის კომიტეტის წევრობა, კომპეტენცია და ექსპერტთა მხარდაჭერა;
   - კორუფციასა და ეთიკურ საფუძვლებთან დაკავშირებული პრობლემებითავდაცვის უწყებაში(მაგალითად, პოლიტიკურ, სამხედრო დონეზე და საჯარო მოხელეთა მიერ).

2. აღწერეთ თქვენს ქვეყანაში არსებული თავდაცვის სხვა სამსახურების როლი, როგორიცაა ეროვნული გვარდია, საპრეზიდენტო ძალები, დაზვერვის სამსახურები და საზღვრის დაცვა. წარმოადგენენ თუ არა ისინი საპარლამენტო კონტროლისა და შემოწმების საგანს? და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები? მთავრობაში ვის წინაშე არიან ისინი ანგარიშვალდებულნი? და რა დამოკიდებულებაში არიან ისინი თავდაცვის სამინისტროსთან?

   განსახილველი სფეროები:

   - ორგანიზებული დანაშაულისსაკითხებიამ ძალებთან მიმართებაში;
   - ამ ძალების დამოუკიდებლობა (ან დამოკიდებულება);
   - კერძო სამხედრო კონტრაქტორები – მათი ურთიერთობა თავდაცვის სამინისტროსთან, მათი საქმიანობის კონტროლი, შემოწმება და აუდიტი.

3. აღწერეთ, თქვენი ქვეყნის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა, პარლამენტისა და მის შემადგენლობაში არსებული თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის როლის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუკი ჩამოყალიბებულია თავდაცვის პოლიტიკის, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი, ან სამთავრობო დადგენილება თავდაცვის პოლიტიკის შესახებ, გთხოვთ მოიყვანოთ ისინი. როგორ ხდებათავდაცვის პოლიტიკისგამოქვეყნება და ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირება?

   განსახილველი სფეროები:

   - კანონმდებლობა თავდაცვის ინფორმაციის წვდომის შესახებ;
   - საზოგადოებისათვის თავდაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი დოკუმენტებისხელმისაწვდომობა.

4. აღწერეთ, თავდაცვის მინისტრის ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით. რა გზით და რა სიხშირით ხდება მათი ინფორმირება თავდაცვის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით?

განსახილველი სფეროები:

- სამოქალაქო საზოგადოების აზრი თავდაცვის უწყების ეთიკური საფუძვლების შესახებ.
- მედიის აზრი თავდაცვის უწყების ეთიკური საფუძვლების შესახებ.
- სხვაზოგადი მოსაზრებები თავდაცვის უწყების შესახებ (დადებითი ან უარყოფითი).

II. ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა და პოლიტიკა

1. როგორ ხდება საერთაშორისო ანტიკორუფციული საშუალებების გამოყენება თქვენს ქვეყანაში მექრთამეობისა და კურუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად?

   განსახილველი სფეროები:

   - ანტიკორუფციული საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონცეფციები (მაგ. გაერთიანებული ერების ანტიკორუფციული კონვენცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენცია უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის წინააღმდეგ).
   - მონიტორინგის მექანიზმები, როგორიცაა მაგ. GRECO–ს (ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) შეფასებები.
   - ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი ან „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსი.

2. თქვენს ქვეყანაში, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუციები და დამკვიდრებული მეთოდები?

   განსახილველი სფეროები:

   - ეროვნული პოლიტიკა, ანტიკორუფციული სტრატეგია, კანონმდებლობა, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები და პროცედურები;
   - ანტიკორუფციული და ეთიკის დეპარტამენტები, აუდიტის განყოფილებები, უწყებრივი ზედამხედველობისა და კონტროლის ჯგუფები და ა.შ.

3. აღწერეთ, თქვენს ქვეყანაში ბოლო სამი წლის მანძილზე განხორციელებული მოსყიდვისა ან კორუფციის გახმაურებული შემთხვევები, რასაც მოჰყვა სისხლისსამართლებრივი დევნა და მიუთითეთ გამოყენებული სანქციები.

III. ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და უშიშროების სფეროში

1. რომელი სფეროებია მოსყიდვისა და კორუფციის ყველაზე დისი რისკის მატარებელი თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისათვის თქვენს ქვეყანაში? (მაგ. მცირე ქრთამები, ხარჯების ანაზღაურება, მივლინებები, თანამდებობაზე დანიშვნები და ა.შ.) ჩამოთვალეთ 6 ძირითადი სფერო.

განსახილველი სფეროები:

- როგორ განსაზღვრავთ, დიდი რისკის მატარებელ სფეროებს?
- როგორ ხდება პოტენციური მოსყიდვისა და კორუფციის რისკის შემცველი სფეროების შემცირება? აღწერეთ ამ მიზნის შესასრულებლად ამჟამად არსებული ღონისძიებები.
- რა სანქციებია დაწესებული იმ პირებისათვის, რომელნიც ზემოხსენებულ 6 ძირითად სფეროში განხორციელებულ მოსყიდვასა და კორუფციაში მიიღებენ მონაწილეობას?

2. აღწერეთ, თავდაცვის სამინისტროში, მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის მიერ განსაზღვრული ანტიკორუფციული და ეთიკური საფუძვლებისგანმტკიცების ღონისძიებათა ქმედუნარიანობის დონე. როგორ ხდება უწყების შიგნით, მათ მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნება?

განსახილველი სფეროები:

- განიხილავენ თუ არა საჯაროდ, თავდაცვის მინისტრი და გაერთიანებული შტაბის უფროსი, უწყებისეთიკური საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხებს? თუ ასეა, აღწერეთ პროცესი.
- როგორია თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მასშტაბით, ეთიკური საფუძვლებისა და კორუფციული რისკის საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონე?
- მოიყვანეთ, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, ეთიკურ საფუძვლებსა და კორუფციული რისკთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მიღებული ზომების მაგალითები.

3. აღწერეთ, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში,ეთიკურ საფუძვლებისა და კორუფციული რისკის საკითხებთან დაკავშირებითარსებული ღონისძიებები და ასევე, ნებისმიერი მიმდინარე (ძირითადი) რეფორმები მიმართული ამ საკითხების მოსაგვარებლად. ჩამოთვალეთ, ამ მიზნით გატარებული ყველა ღონისძიება.

4. თუკი არსებობს ანტიკორუფციული პოლიტიკა, ვინ არის პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე?

განსახილველი სფეროები:

- ანტიკურუფციული პოლიტიკის შესრულება ეკისრება სპეციალიზირებულ დეპარტამენტს თუ კონკრეტულ პიროვნებას?
- როგორიაამ პროცესისეფექტურობა?

5. რა სტრუქტურული ერთეულები არსებობს თავდაცვის შიგნით,ეთიკური ნორმების განმტკიცების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილების მიზნით? აღწერეთ ბოლოდროინდელი წარმატება.

განსახილველი სფეროები:

- რა ფუნქციები აკისრიათ ანტიკორუფციულ და ეთიკის დარგში მოღვაწე მრჩეველებს, შიდა და გარე აუდიტორებს, გენარალურ ინსპექციას, პროკურორებს და ა.შ?
- რა დონეზე მიმდინარეობს თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარება უწყებებს შორის?
- სამხედრო სფეროს მიმართ ნდობის რა მტკიცებულებები არსებობს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით? მაგა-

ლითად, ეროვნულ და საერთაშორისო მაჩვენებლებში, როგორიცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური კორუფციის ბარომეტრი, როგორია „სამხედროთა“ აღქმის დონე?

6. აღწერეთ, არსებული მეთოდები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები (სამხედრო და სამოქალაქო პირები) და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ახდენს კორუფციის ფაქტების შესახებშეტყობინებას.

   შესწავლის სფეროები:

   - რეკომენდირებულია თუ არა, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებისა და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მიერ გამოვლენილი კოროფციული შემთხვევებისშესახებ შეტყობინება? თუ ასეა, აღწერეთ დეტალურად.
   - არსებობს თუ არა „ცხელი ხაზი“, მამხილებელთა მიერ მოსყიდვისა და კორუფციის შემთხვევებისშეტყობინებისათვის?
   - მამხილებელთა დაცვის რა მექანიზმები არსებობს, რამდენად კარგად მუშაობენ ისინი, როგორია მათი გამოყენების მასშტაბები. რამდენად კარგად არის ჩამოყალიბებული პროცედურები?
   - რა როლი აკისრია მედიას კორუფციის სავარაუდო შემთხვევების გამოაშკარავების საქმეში?

IV. პირადი შემადგენლობა – ქცევა, პოლიტიკა, მომზადება, დისციპლინა

პირადი თვისებებისა და ქცევის აუცილებელი სტანდარტები

1. აღწერეთ ქცევის კოდექსი, რომელიც გამოიყენება თავდაცვის სამინისტროს პერსონალის (სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო პირები და საჯარო მოხელეები) მიმართ, კურუფციული რისკის იმ სფეროების მითითებით, რომელთაც ეს კოდექსი მოიცავს. გთხოვთ, დაურთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

   განსახილველი სფეროები:

   - როგორ რეგულირდება მექრთამეობას, საჩუქრებსა და კორპორატიულხარჯებთან, ინტერესთა შეუთავსებლობასა და სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდგომ საქმიანობებთან დაკავშირებული საკითხები?
   - როგორ ხდება ქცევის კოდექსის გავრცელება?
   - გამყარებულია თუ არა შესაბამისი დებულებები, ეთიკის კოდექსით ან სხვა ღირებულებებით და თუ ასეა, როგორ ხდება მისი გავრცელება და დანერგვა.
   - რა სახელმძღვანელო მითითებები არსებობს ქცევის კოდექსის მხარდაჭერისა დაშეთანხმებისათვის?
   - სამხედრო და სამოქალაქო პირების მიმართ გამოიყენება განსხვავებული წესები, თუ ისინი საერთოა ყველა მოსამსახურისათვის?
   - რა სპეციალური ყურადღებაეთმობა, (იმ შემთხვევაში, თუკი ეთმობა რამენაირი ყურადღება) განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თანამდებობაზე მყოფ პირებს, მაგ. შესყიდვების, ფინანსური/გაყიდვების მენეჯმენტის დარგში დასაქმებულ პირებს.

2. მოიყვანეთ დეტალები, თუ როგორ ხდება ამ ქცევის კოდექსის დარღვევების დარეგულირება და ვის მიერ. მოკლედ აღწერეთ, სამი გახმაურებული შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თქვენს ქვეყანაში, ბოლო ორი წლის მანძილზე.

3. მოკლედ აღწერეთ, პირადი შემადგენლობის შეფასების პროცესი, მოხსენებების სიხშირის და გამოკითხვის/უკუკავშირის პროცესის ჩათვლით. როგორ არის პიროვნების ეთიკური საფუძვლებისა და პოლიტიკურ საქმიანობათა საკითხები გათვალისწინებული.

   განსახილველი სფეროები:

   - მერიტოკრატიული მიდგომადანიშვნების/მივლინებების მიმართ – როგორ ხდება ვაკანსიების გამოცხადება, ადგილი აქვს თუ არა გარკვეულ პროტეჟირებას, და ა.შ
   - ტარდება თუ არა პირადი შემადგენლობისათვის „ანტიკორუფციული“ ტრეინინგები?
   - როგორია გადაადგილების (როტაციის) სიხშირე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თანამდებობაზე?
   - როგორ ხორციელდება, პერსონალის მიერ კორპორატიული ხარჯებისანაზღაურებისშესახებ განცხადება? (მათ შორის სამსახურებრივი მივლინებების, გასართობი ღონისძიებების, ხარჯების ანაზღაურების).

შრომის ანაზღაურება

4. აღწერეთ, ფიზიკური პირებისათვის ხელფასისა და სხვა სახის შემოსავლის გადახდის მექანიზმები, სისტემატიურ საფუძველზე გამოყენებული შემოწმებისა და გამჭვირვალობის მეთოდების მითითებით, შემოწმებული მონაცემების გამოქვეყნების პროცედურებთან ერთად.

   განსახილველი სფეროები:

   - ზუსტად არის თუ არა განსაზღვრული სახელფასო კმაყოფაზე მყოფი სამოქალაქო და სამხედრო პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, სწორად და დროულად ხდება თუ არა მათზე, ხელფასების გაცემა?
   - არის თუ არა თქვენს ქვეყანაში განსაზღვრული (გამოქვეყნებული) სამოქალაქო და სამხედრო პირთა თანამდებობრივი სახელფასო განაკვეთი?
   - სწორად და დროულად ხდება თუ არა ხელფასების გაცემა სამოქალაქო და სამხედრო პირთათვის?
   - გამოყოფილია თუ არა სამეთაურო ჯაჭვი „გადასახადების ჯაჭვისაგან“?

ანტიკორუფციული პოლიტიკისა და წესების დარღვევა

5. აღწერეთ კორუფციული შემთხვევების სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ასევე, სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და სატენდერო კომპანიებისათვის დისციპლინარული სასჯელის დაკისრების პროცესი.

   განსახილველი სფეროები:

   - რამდენად ქმედითია ეს პროცესი?

- სამხედრო სასამართლოს როლი ამ პროცესში და არის თუ არა იგი ღია საზოგადოებისათვის?

6. გთხოვთ მოიყვანეთ, თქვენს ქვეყანაში, ბოლო სამი წლის მანძილზე თავდაცვის ან შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მიერ ჩადენილი კორუფციული ან მოსყიდვის დანაშაულისათვის შეფარდებული სანქციის ზომა ან ჩატარებული შიდა ქმედებები. მოხდა თუ არა განაჩენის გასაჯაროება და თუ ასეა, რა გზით?

7. გთხოვთ მოიყვანეთ, თქვენს ქვეყანაში, ბოლო სამი წლის მანძილზე თავდაცვის ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული სანქციის ზომა.

8. აღწერეთ, როგორ ახორციელებს თქვენი ქვეყნის ეროვნული აუდიტის ან ანტიკირუფციული უწყება, თავდაცვის ორგანიზაციის შიგნით წარმოებული პროცედურების ზედამხედველობას.

9. თუ, ეროვნული უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმები, დაუშვებს მიმდინარე ანტიკორუფციული გამოძიების შეჩერებას, აღწერეთ ის პროცედურები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ამ პროცესის სამართლიანად ცნობის მიზნით.

V. დაგეგმვა და ბიუჯეტირება

შესყიდვების დაგეგმვა

1. მოკლედ აღწერეთ,როგორ ხდება თქვენს ქვეყნაში შესყიდვის დაგეგმვის პროცესი; ციკლის ხანგრძლივობის, მასში ჩართული პერსონალისა და დეპარტამენტების მითითებით.

2. მოიყვანეთ, თქვენი ქვეყნის თავდაცვის უწყების შესყიდვებისათვის განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმები. (მაგ. ნაციონალური ოპერატიული მოთხოვნილებები, NATO-ს მოთხოვნები, ტექნოლოგიური განახლებები და ა.შ)

ბიუჯეტირება

3. აღწერეთ თავდაცვის ბიუჯეტის,პარლამენტისათვის წარდგენის პროცესი, იმ ძირითადი ხარჯებისა და კრიტერიუმების მითითებით, რომელსაც ეს დოკუმენტი ემყარება. იმართება თუ არა დებატები პარლამენტში თავდაცვის ბიუჯეტთან დაკავშირებით? და ხდება თუ არა ამ დოკუმენტის გამოქვეყნება ყოველწლიურად?

4. სახლმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტის გარდა, თავდაცვის შემოსავლების რა ძირითადი წყაროები არსებობს, ჭარბი აღჭურვილობის,საკუთრების გაყიდვის და სხვა აქტივების ჩათვლით.

5. როგორ იმართება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის საჯარო განხილვების პროცესი თქვენს ქვეყანაში, რეგულარულად აშუქებს თუ არა მედია მას?

6. სამინისტროს, გასული წლის ფაქტობრივი ხარჯები გამოქვეყნებულია თუ არა დაწვრილებით? თუ ასეა რამდენად დეტალურია იგი? ჩვეულებრივ მოვლენას ხომ არ წარმოადგენს ბიუჯეტთან შედარებით, ფაქტობრივი ხარჯების გადამეტება? მზადდება თუ არა მოხსენება წლის მანძილზე გაწეული ხარჯების შესახებ? და თუ ასეა, რა სიხშირით?

7. აღწერეთ, თავდაცვის სამინისტროს დანახარჯებისაუდიტის პროცესი, აუდიტის ციკლის, შედეგების გამოქვეყნების, პარლამენტის ან სხვა ორგანოების მიერ ზედამხედველობის ჩათვლით. ძირითადი პროექტების აუდიტიხორციელდება თუ არა ცალკე; და თუ არა, ახსენით რატომ.

აქტივების გაყიდვა, შეწყვეტა და ლიზინგი

8. აღწერეთ აქტივების გაყიდვის, მათი შეწყვეტისა და ლიზინგის პროცესი, ამ სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებით.

   განსახილველი სფეროები:

   - აქტივებთან დაკავშირებული პროცედურები, აღჭურვილობის, საკუთრების და ნარჩენების ჩათვლით.
   - ჭარბი საკუთრების შეფასებისა და გაყიდვის მართვის პროცესი და ამ პროცესების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფის ზომები.
   - საკუთრების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ასახვა ხდება თუ არა ყოველწლიურად სამინისტროს ანგარიშებში? რომელ ორგანიზაციას მიეწოდება ეს შემოსავლები და რისთვის გამოიყენება ისინი?

VI. ოპერაციები

1. არსებობს თუ არა სამხედრო დოქტრინა,რომელიც განიხილავს მშვიდობიანობისა და კონფლიქტის დროს განხორციელებულ კორუფციის საკითხებს?

   განსახილველი სფეროები:

   - ხორციელდება თუ არა მეთაურების სწავლება ყველა დონეზე?
   - არსებობენ თუ არა პროფესიონალები (როგორიცაა მაგ. სამხედრო აუდიტორი), რომელთაც შესწევთ უნარი განახორციელონ კორუფციული რისკის მონიტორინგი საველე პირობებში? ხორციელდება თუ არა მათი სწავლება და დისლოცირება?

2. მეთაურებს აქვთ თუ არა ნათელი წარმოდგენა იმ კორუფციულ საკითხებზე, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდნენ ისინი დისლოცირებისას?

   განსახილველი სფეროები:

   - არისთუარა შემუშავებული შესაბამისი სახელმძღვანელო სტრატეგიულ დონეზე?
   - საველე დონეზე, არსებობს თუ არა,მისაღები ქცევის შესახებმკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო ჯარებისა (ეროვნული, კოალიციის და ადგილობრივი) და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის (პოლიციის, სასამართლოს და ადგილობრივი ხელისუფლების ჩათვლით)?
   - არსებობს თუ არაზედამხედველობის გარკვეული მექანიზმები?
   - არის თუ არა შესაბამისი ტრეინინგ მოდული ხელმისაწვდომი?

3. როგორ ხდება კონფლიქტურ გარემოში კორუფციული რისკის შემცირება, შესყიდვების დაჩქარებულ და დაგეგმილ პრცესებში (ადგილობრივი კონტაქტებისა და შესყიდვების ჩათვლით)?

4. ცნობილია თუ არა ორგანიზაციისათვის, რა კორუფციულ საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს იგი დისლოცირების ადგილას?

   განსახილველი სფეროები:

   - არის თუ არა შემუშავებული რაიმე დოქტრინა ან სახელმძღვანელო ამ საკითხთან მიმართებაში?
   - საველე დონეზე, არსებობს თუ არა ჯარისათვის, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მისაღები ქცევის შესახებ?
   - არსებობს თუ არაზედამხედველობის გარკვეული მექანიზმები?
   - არის თუ არა შესაბამისი ტრეინინგ მოდული ხელმისაწვდომი?

5. არსებობს თუ არა სამხედრო დოქტრინა, კორუფციასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად მისიის მეთაურებისათვის, როგორც სტრატეგიულ, ასევე საველე დონეზე?

   განსახილველი სფეროები:

   - გათვალისწინებულია თუ არა მაღალი რანგის მეთაურთა სწავლება? არსებობენ თუ არა პროფესიონალები, მაგ. სამხედრო აუდიტორები, რომელთაც შესწევთ უნარი განახორციელონ კორუფციული რისკის მონიტორინგი საველე პირობებში? ხორციელდება თუ არა მათი სწავლება? ოპერატიულ გეგმებში ხდება თუ არა მათი გათვალისწინება?

6. მიმდინარეობს თუ არაკონფლიქტურ გარემოში, დაჩქარებული შესყიდვის პროცესები? თუ ასეა, ხდება თუ არა წინასწარ, მასში კორუფციული რისკის ანალიზი?

VII. შესყიდვები

შესყიდვები - კანონმდებლობა

1. აღწერეთდა მოიყვანეთ, თქვენს ქვეყანაში თავდაცვის და უშიშროების სფეროსთან დაკავშირებული შესყიდვების მარეგულირებელი კანონების ჩამონათვალი.

2. გამოყავით,შესყიდვების საერთო კანონმდებლობით გათავისუფლებული გამონაკლისი საგნები და მომსახურებები (განმტკიცებული შესაბამისი დასაბუთებებით).

შესყიდვები – ორგანიზება და რეფორმირება

3. მოკლედ აღწერეთ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი შესყიდვების განხორციელებაზე, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში. შესყიდვებს აწარმოებს შესყიდვების ცენტრალური სააგენტო, თუ ხორციელდება ცალკე, თავდაცვის სამინისტროსა ან შეიარაღებული ძალების მიერ?

4. აღწერეთ თავდაცვის შესყიდვების დასრულებული ციკლი დაწყებული საჭიროებათა განსაზღვრიდან და დამთავრებული კონტრაქტის შესრულებით (ცალკეულ სამინისტროებსა ან დეპარტამენტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ჩათვლით), სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეების მითითებით.

5. აღწერეთ, შესყიდვებზე ზედამხედველობის მექანიზმები მათი სუსტი და ძლიერი მხარეების მითითებით.

განსახილველი სფეროები:

- რა კანონებით (წესებით) რეგულირდება გადაადგილება (როტაცია) განსაკუთრებით მნიშვნელოვან თანამდებობებზე?
- რაარის მოთხოვნა, დადგენილ ხელფასზე დამატებით მიღებული საკუთრების ან საჩუქრების დეკლარირებისათვის?
- რაარის მოთხოვნა ინტერესთა კონფლიქტის აღიარებისათვის? ეხება თუ არა იგი ყველა წოდებრივ დონეს?
- არის თუ არა შესყიდვების პროცესი, პერიოდული ან არარეგულარული მიმოხილვის საგანიკეთილსინდისიერებისა და ეთიკური ნორმების კუთხით?

შესყიდვები – სატენდერო კომისიები, აღჭურვილობა/მომსახურების სპეციფიკაცია, ტენდერი

6. აღწერეთ, სატენდერო კომისიების შემადგენლობა, ფუნქციები, პასუხისმგებლობა და მუშაობის მექანიზმები.

   განსახილველი სფეროები:

   - მასშტაბები და მოთხოვნები დოკუმენტაციის წარმოებისათვის.
   - სატენდერო კომისიის წევრებისათვის, საქმიანობის დაწყებამდე, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და მოსამზადებელი სწავლების მოთხოვნები.
   - წესები და ქცევის ნორმები სატენდერო კომისიის წევრებისათვის, სუსტი და ძლიერი მხარეების მითითებით.

7. აღწერეთ, ყველ სახის შეძენა/შესყიდვის გეგმების გამოქვეყნებისათვის დადგენილი პროცესი (როგორც საიდუმლო ასევე არასაიდუმლო) და გამოყავით აღჭურვილობის მახასიათებლების განსაზღვრის მექანიზმები, გადაწყვეტილების მიღების პროცესების ჩათვლით.

   განსახილველი სფეროები:

   - მიუთითეთ, თუ რა პროპორციით ხდება თავდაცვის პოტენციური შესყიდვების გასაჯაროება რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით?
   - ხდება თუ არა თითოეული სატენდერო წინადადებისა და შემდგომი ცვლილებების წერილობითი ჩანაწერების (ქაღალდზე ან ელექტრონული ფორმით) სრულყოფილად შენახვა?

8. აღწერეთ შესყიდვის პროცესი, სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოყოფით.

   განსახილველი სფეროები:

   - ტენდერის შეფასება
   - ხელშეკრულების გაფორმება
   - ხელშეკრულების შემდგომი მექანიზმები
   - მონაწილე პირთა შორის, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა
   - აუდიტის პროცედურები

- როდესაც შესყიდვის ღირებულება განსაკუთრებულად მაღალია, არსებობს თუ არა კეთილსინდისიერების შემოწმების გაძლიერებული პროცესები/ინსტრუქცია? გთხოვთ აღწერეთ.

9. აღწერეთ შესყიდული საგნების ან მომსახურებების ხარისხის კონტროლის განსაზღვრის მექანიზმები, მოიყვანეთ პროცედურები, რომლებიც გამოიყენება როცა მახასიათებლები არ შეესაბამება მოთხოვნებს.

შესყიდვები – სპეციფიკური საკითხები

10. აღწერეთ „აგენტებისა“ და „შუამავლების“ როლი შესყიდვების ციკლის მსვლელობისას, როგორ ხდება მათ კეთილსინდისიერებაში დარწმუნება? მიუთითეთ ამ მიდგომისსუსტი და ძლიერი მხარეები.

განსახილველი სფეროები:

- აგენტების საიმედოობის შემოწმების ნებისმიერი პროცედურა.
- ნებისმიერი პოლიტიკა, აგენტების სათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

11. აღწერეთ, ურთიერთჩათვლის გამოყენება შესყიდვის პროცესის დროს (თუკი გამოიყენება).

განსახილველი სფეროები:

- როგორ განისაზღვრება მოთხოვნა ურთიერთჩათვლაზე თქვენს ქვეყანაში.
- ურთიერთჩათვლაზე წინადადებების განხილვა – შეფასება სატენდერო პროცესის დროს.
- ურთიერთჩათვლის შეფასება და მონიტორინგი, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში.
- აღწერეთ, ურთიერთჩათვლისას კორუფციული რისკის შესამცირებლადმიმართული ნებისმიერი კონკრეტული ღონისძიება.

12. აღწერეთ პროცესებიშესყიდვების განსაზღვრისათვის, რომელი მათგანი განიხილება „მნიშვნელოვნად ოპერაციების ჩატარებისათვის“ და რომელის შესყიდვა ხორციელდება „ერთი წყაროდან,“ მოიყვანეთ თითოეულის პროცენტული მაჩვენებელი (რაოდენობა და ღირებულება), როდსაც შედარება ხდება სტანდარტული შესყიდვების ციკლთან.

განსახილველი სფეროები:

- გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.
- რა არის ერთი წყაროდან განხორციელებული, თავდაცვის შესყიდვების მიმდინარე პროცენტული მაჩვენებელი თქვენს ქვეყანაში?
- დაცვის რა მექანიზმები არსებობს იმ მოთხოვნილების თავიდან ასაცილებლად, რომ არსებობდეს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი?
- ნებისმიერი საკანონმდებლო შეზღუდვა.
- შიდა ტენდერი/შედარებითი სისტემა, თუკი გამოიყენება.

VIII. ურთიერთობა თავდაცვის საწარმოებსა და სხვა მიმწოდებლებთან

1. აღწერეთ სამინისტროების ან ოფიციალურ ორგანიზაციათა მიერ (განსაკუთრებით შესყიდვების სააგენტოები)სხვადასხვა კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და შემდგომი გადახდისათვისგამოყენებული მექანიზმები, ამ პროცესების სუსტი და ძლიერი მხარეების მითითებით.

2. აღწერეთნებისმიერი ძალისხმევა, რომლის გამოყენებითაც თავდაცვის სამინისტროს გათვლებით, საგრძნობლად ამაღლდება ეთიკური საფუძვლები და ანტიკორუფციული სტანდარტები შესყიდვების მასშტაბით, და ასევე აღწერეთ, მსგავსი პროცესებით მიღებული შედეგები.

3. არსებობს თუ არა მოთხოვნა სატენდერო კომპანიებისათვის, რომ შემუშავებული ჰქონდეთ ეთიკის პროგრამა, რათა განახორციელონ სატენდერო საქმიანობა? აღწერეთ პროცესი და მექანიზმები, რომელთა გამოყენებაც ხდება იმ კომპანიებისადმი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ, ან არ იცავენ სტანდარტებს.

   განსახილველი სფეროები:

   - არის თუ არა რაიმე განსხვავება უცხოურ და ადგილობრივ ფირმებთან დამოკიდებულებაში, ქცევისა და შესაბამისობის ნორმებთან მიმართებაში?
   - რის მიხედვით ხდება კომპანიის შეფასება, მყარი რეპუტაციის მქონედ?
   - ისეთი პროცედურების გამოყენება, როგორიცაა: შავ სიაში შეტანა, (მონაწილეობის) უფლების ჩამორთმევა, ან მოქმედების დროებით შეჩერება და ვინ არის პასუხისმგებელი მათ განხორციელებასა და განახლებაზე.

4. რა პროცესები გამოიყენება თქვენს ქვეყანაში, მოსალოდნელ შესყიდვებზე კომპანიათა საკონსულტაციოდ?

   განსახილველი სფეროები:

   - დაგეგმვისა და შესყიდვის ციკლ(ებ)ი და გამოყენებული დოკუმენტაცია.
   - ადგილობრივ და უცხოურ კომპანიათა კონსულტირებისათვის გამოყენებულ პროცედურებშიარსებული განსხვავებები.

5. აღწერეთ თქვენს ქვეყანაში არსებული პროცედურული მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც, კომპანიებს შეუძლიათ უკმაყოფილება გამოთქვან (სარჩელი შეიტანონ) შესყიდვების სისტემაში არსებული არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შესახებ. მოიყვანეთ მსგავსი საჩივრის და დამდგარი შედეგის მაგალითი.

IX. ეროვნულ თავისებურებათა საკითხები

ეს ნაწილი ცარიელი რჩება მანამდე, სანამ სახელმწიფოები განახორციელებენეთიკური საფუძვლების თვითშეფასების დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს. NATO–ს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც კურირებს ამ პროცესს, შესაბამისად განაახლებს ამ ნაწილს.

დამატებითი ინფორმაცია

ეთიკური საფუძვლების თვითშეფასების პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

- ✓ სიუზან პონდი
  დირექტორი, პარტნიორობა მშვიდობისათვის
  NATO–ს საერთაშორისო შტაბი
  ელ.ფოსტა: pond.susan@hq.nato.int
- ✓ მარკ პაიმანი
  დირექტორი, თავდაცვა კორუფციის პროგრამის წინააღმდეგ,
  საერთაშორისო გამჭვირვალობა
  ელ.ფოსტა: mark.pyman@transparency.org.uk

NATO–ს პარტნიორობა მშვიდობისათვის და ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართეთ შემდეგ ვებ – გვერდებს:

http://www.nato.int/issues/pfp/index.html
http://www.nato.int/issues/eapc/

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გაფართოებული კოალიციისა და თავდაცვის სექტორის პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ვებ გვერდები:

http://www.defenceagainstcorruption.org
http://www.transparency.org

2009 წლის 30 იანვარი